საკუთრების უფლების დაცვა პოსტრევოლუციურ საქართველოში

საკუთრების უფლების დაცვის მყარი გარანტია ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. კერძო საკუთრება, საერთო საკუთრებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ქონება ერთობლივად შეიძლება ეკუთვნოდეს რამდენიმე პირს და თითოეული მათგანი ჩაითვლება ამ ქონების თანამესაკუთრედ, უკვე დიდი ხანია აღიარებულია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობად. ეს უფლება დაცულია თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობაში. კერძო საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს უზენაეს კანონშიც – საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლში[1], თუმცა ბოლო პერიოდში ეს უფლება გარკვეულწილად შეირყა. კერძო საკუთრების ნგრევისა და ჩამორთმევის ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში. თბილისში საკუთრების ხელყოფის კონკრეტული შემთხვევები პირველად სააშკარაოზე მედიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოიტანეს.

საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით ბევრი არაფერია ნათქვამი. ამ საკითხზე ყურადღება მახვილდება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში – კონკრეტული ტიპის (სტრატეგიული მნიშვნელობის და სტრატეგიულ ტერიტორიებზე განთავსებული ობიექტები) საკუთრებებთან მიმართებაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს. მასში კერძო საკუთრების უფლება განხილულია არა ზოგად კონტექსტში, არამედ კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ჭრილში[2]. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, ამ პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქართული კანონმდებლობით გარკვეული შეზღუდვები დაწესებულია 500-მეტრიან სასაზღვრო ზოლში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზებასთაზე. ეთნიკური უმცირესებობის წარმომადგენლები, კერძოდ, სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობენ სასაზღვრო რეგიონებში, საქართველოსა და სომხეთის და საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრების მახლობლად, და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებაზე უარი სწორედ ამ მიზეზით ეთქმებათ, თუმცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც თავს, ხშირ შემთხვევაში, მიწის დამუშავებით ირჩენენ, ეს არგუმენტი არ აკმაყოფილებთ. აღნიშნული საკითხი, მისი სირთულიდან გამომდინარე, დღესაც გადაუჭრელი რჩება და აქედან გამომდინარე მასზე ყურადღება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაშიც არის გამახვილებული, თუმცა, როგორც ვთქვით, ეს დოკუმენტი კერძო საკუთრების პრობლემას მხოლოდ ამ კუთხით ეხება. სხვა ასპექტები მასში ნახსენები არ არის, რაც, შესაძლოა, შეცდომაც იყოს.

პოსტ-რევოლუციური პერიოდის „ექსპროპრიაციების“ სამი ტალღა

საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები პირველად „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვეში წარმოიშვა. ახალი ხელისუფლების აქტიური ანტიკორუფციული კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების უკანონოდ მიჩნეული ქონების კონფისკაცია იყო. ხელისუფლებამ მათ სახელმწიფო ქონების მითვისებაში და ზოგადად, კორუფციაში საჯაროდ დასდო ბრალი და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ნაწილს ქონება ჩამოართვა, ნაწილს კი ფულის გადახდა მოსთხოვა.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21: „1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. 3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.“

[2] ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, 4.1.1. „დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ამ პროცესს საფუძვლად დაედო „საპროცესო გარიგების“ ინსტიტუტი, რომელიც ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე პირველი ანტიკორუფციული ინიციატივა იყო. თავდაპირველად ეს ინსტიტუტი შემდეგნაირად მუშაობდა: ბრალდებული პირი, პროკურატურის მიერ საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დანიშვნამდე, რამდენიმე თვეს ატარებდა წინასწარ პატიმრობაში; შემდეგ მას პროკურატურა სთავაზობდა საპროცესო გარიგებაზე წასვლას, ანუ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის საკუთარი ქონებით ანაზღაურებას და მისი თანხმობის შემთხვევაში, სასამართლო წესით თავისუფლდებოდა ისე, რომ ბრალის აღიარება არ მოეთხოვებოდა. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ დროს პროკურატურა წინასწარ პატიმრობას იყენებდა ზეწოლის გარკვეულ ფორმად (აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში წინასწარი პატიმრობის საკნებში, ისევე როგორც ზოგადად საპატიმროებში, უკიდურესად რთული პირობებია) და მისი საშუალებით აიძულებდა შესაბამის პირებს, რომ თავიანთი ქონება სახელმწიფოსთვის გადაეცათ. ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს პრაქტიკა გააკრიტიკეს. მათ აღნიშნეს, რომ პირველ რიგში, საპროცესო გარიგების ინსტიტუტის სამართლებრივი გაუმართაობის გამო ადგილი ჰქონდა ბრალდებულთა უფლებების დარღვევებს და გარდა ამისა, საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხების არასაკმარისი გამჭვირვალობის გამო კორუფციის ახალი საფრთხეები ჩნდებოდა. პასუხად, რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა, რომლითაც საპროცესო გარიგების დადებისას ბრალდებულის ბრალეულობის დადასტურება სავალდებულო გახადა, თუმცა გამჭვირვალობის პრობლემა კვლავ აქტუალური დარჩა.

კონფისკაციის მეორე ტალღა (2005 წლის ბოლო და 2006 წლის დასაწყისი) ძირითადად თბილისსა და მცხეთაში მდებარე რესტორნების პატრონებს შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმე ოფიციალურად არავის მიმართ აღუძრავთ, რესტორნების მფლობელთა ნაწილს „შეახსენეს“, რომ მათ ბიზნეს-საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზიები და ნებართვები კორუფციული გარიგებების გზით ჰქონდათ მიღებული შევარდნაძის პერიოდში და ამ „შეცდომის“ გამოსასწორებლად თავიანთი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ და „ნებაყოფლობით“ გადაცემა შესთავაზეს. ბიზნესმენთა დიდი ნაწილი ამ მოთხოვნას დათანხმდა. სახელმწიფომ მათგან მოთხოვნილი ქონება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მიიღო – ყოფილ მესაკუთრესა და სახელმწიფოს (კერძოდ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს) შორის გაფორმდა ნოტარიალურად დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებები. ამ პროცესის ერთი საინტერესო თავისებურება ის არის, რომ მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს მხრიდან ყველა ამ ხელშეკრულებას ერთი პირი აწერდა ხელს და ისინი ნოტარიალურადაც ერთ ნოტარიუსთან იყო დამოწმებული[3].

ერთადერთი „კომპრომისი“, რომელზეც ხელისუფლება ყოფილ მეპატრონეებთან წავიდა ის იყო, რომ მან მეპატრონეებს რესტორნების გარკვეული პერიოდით მართვის უფლება დაუტოვა. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ხელისუფლებას ექნება სრული უფლება, რომ რესტორნის შენობა და ტერიტორია, რომელზეც ის არის განლაგებული საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოიყენოს. ამ ეტაპზე საუბარია იმაზე, რომ რესტორნების დიდი ნაწილი დაინგრევა და მათ ადგილას აშენდება სხვა ტიპის შენობები, რომლებიც თბილისის ახალი იერსახისთვის უფრო მისაღები იქნება.

საქართველოს სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ინფორმაციით, მასთან მისული მესაკუთრეები ამბობდნენ, რომ ხელისუფლება მათთან მიმართებაში ზეწოლის სხვადასხვა საშუალებებს იყენებდა. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას, ოღონდ არა რეალური გამოძიების ჩატარების, არამედ მესაკუთრეების დაშინების მიზნით. უკიდურეს შემთხვევებში იყო ნარკოტიკების ჩადების და ამ მიზეზით დაპატიმრების მუქარებიც. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლება რესტორნების მფლობელებს ნებაყოფლობით დანებებას და ქონების დათმობას სთავაზობდა.

[3] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გააგზავნა წერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელშიც მოითხოვდა იმ მეწარმეების სიას, რომელთაც თავიანთი კუთვნილი ქონება უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს. სამინისტროს წერილზე არ უპასუხია.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების ახალმა ტალღამ 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში იჩინა თავი – ამჯერად სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობების დანგრევის სახით. ეს ტალღა ძირითადად შედარებით მცირე ზომის მაღაზიებს, ჯიხურებს და სავაჭრო ცენტრებს შეეხო, რომელთა დიდი ნაწილი მეტროსადგურებთან იყო განლაგებული. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ისინი მესაკუთრეების ზეპირი გაფრთხილების შემდეგ დაანგრია. ამ შენობა-ნაგებობათა მფლობელების განცხადებით, მათთვის თბილისის მერიას არც სასამართლოს გადაწყვეტილება და არც რაიმე სხვა სახის წერილობითი საბუთი წარუდგენია; ზეპირი გაფრთხილებაც დანგრევამდე რამდენიმე დღით ადრე მისცეს. შესაბამისად, მესაკუთრეებს არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ საზედამხედველო სამსახურის გადაწყვეტილებები სასამართლოში გაესაჩივრებინათ და ამ გზით კუთვნილი შენობა-ნაგებობების დანგრევისთვის ხელი შეეშალათ. თბილისის მერიის წარმომადგენლები კი ამბობდნენ, რომ შენობები უკანონოდ იყო აშენებული – მათ ნაწილზე არ იყო გაცემული შესაბამისი ნებართვები, ნაწილი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ნაწილზე ნებართვა უკანონოდ იყო მიღებული და ა.შ. ერთ-ერთ არგუმენტად მოჰქონდათ ისიც, რომ საჭირო იყო ტერიტორიის „გაწმენდა“ და თბილისის იერსახის გალამაზება. ზედამხედველობის სამსახურმა უარყო რომელიმე შენობა-ნაგებობის უკანონოდ დანგრევა და იმ პირებს, რომლებსაც ამაში ეჭვი ეპარებოდათ ურჩია, რომ სასამართლოსთვის მიემართათ. მისი ინფორმაციით, ჯერჯერობით სასამართლოსთვის არცერთ მესაკუთრეს არ მიუმართავს.

სახალხო დამცველი და დეპუტატები საპარლამენტო ოპოზიციიდან თვლიან, რომ ხელისუფლების განმარტებები სიმართლეს არ შეეფერებოდა. მათი შეფასებით, იმ შენობა-ნაგებობათა დიდი ნაწილი, რომლებიც თბილისის მერიამ დაანგრია სრულიად კანონიერი იყო – მესაკუთრეებს შესაბამისი ნებართვებიც ჰქონდათ და არქიტექტურული პროექტებიც, რომლებიც მერიის არქიტექტურის სამსახურთან იყო შეთანხმებული. სოზარ სუბარის აზრით, შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევებში გარკვეული კანონდარღვევები არსებობდა, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო დაუყოვნებელი დანგრევების საფუძველი.

საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კანონმდებლობა მტკიცედ იცავს საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას და დეტალურად განმარტავს იმ შემთხვევებს, როცა პირს შეიძლება ჩამოერთვას კერძო საკუთრება. ამ საკითხს ორი კანონი არეგულირებს, ესენია: საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის შესახებ“ (1997 წ.) და საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (1999 წ.).

ორგანული კანონი გამოიყენება ეკოლოგიური და სტიქიური უბედურებების შემთხვევაში, ასევე ეპიდემიების და სხვა მსგავსი შემთხვევების დროს, როცა საფრთხე ექმნება ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან საზოგადოებრივ უშიშროებას. ამ დროს სახელმწიფოს ენიჭება უფლება, საჭიროებისამებრ მოახდინოს კერძო საკუთრების ჩამორთმევა, თუმცა ის ვალდებულია, მესაკუთრეს მისცეს შესაბამისი ანაზღაურება.

1999 წელს მიღებული კანონი ადგენს დამატებით საზოგადოებრივ ინტერესებს, რომელთა შემთხვევაშიც კერძო ქონების ჩამორთმევა დასაშვებად მიიჩნევა, ესენია: გზების, სარკინიგზო მაგისტრალების, მილსადენების, საკანალიზაციო და საკომუნიკაციო ხაზების და სხვა მსგავსი მაგისტრალების და საზოგადოებისთვის საჭირო ნაგებობების მშენებლობა. ამ შემთხვევებში საკუთრების ჩამორთმევას საფუძვლად ედება პრეზიდენტის ბრძანებულება და სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც უნდა დაადასტუროს პრეზიდენტის ბრძანების მართლზომიერება. სასამართლოს დადგენილებაში საუბარი უნდა იყოს შესაბამისი ზარალის ანაზღაურებაზეც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საკითხის სასამართლოში განხილვამდე ხელისუფლება ვალდებულია, მოელაპარაკოს კერძო მესაკუთრეს იმის შესახებ, თუ რა ურჩევნია მას – ქონების სანაცვლოდ თანხის აღება, თუ სხვა ანალოგიური ქონების მიღება. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სადავო ქონების დაუყოვნებელი ჩამორთმევა მოახდინოს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს ჩარევის შემდეგ და უშუალო ჩამორთმევამდე კერძო მესაკუთრეს სახელმწიფომ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საზოგადოებრივი ინტერესის დასაბუთება (პრეზიდენტის ბრძანებულების და სასამართლოს დადგენილების შესაბამისად), საკუთრების დეტალური აღწერა, კომპენსაციის აღწერა – თანხა ან ის ქონება, რომელიც არსებული ქონების სანაცვლოდ გადაეცემა შესაბამის პირს (საბაზრო ფასის მითითებით).

როგორც საქართველოს კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. არც ერთი კანონი სახელმწიფოს უფლებას არ აძლევს, რომ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა მხოლოდ იმის გამო დაანგრიოს, რომ ის ქალაქის იერსახეს არ ესადაგება. გარდა ამისა, კერძო საკუთრების ხელყოფა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე და მხოლოდ ზეპირი შეტყობინების საფუძველზე ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე დემოკრატიის ზოგად პრინციპებს.

არსებული მდგომარეობა და სამომავლო ხედვა

საკუთრების ხელყოფის ფაქტებს სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2004 წლის ანგარიშში შეეხო. ამ ფაქტების შესახებ ინფორმაცია მას თავად მესაკუთრეებმა მიაწოდეს. გარდა სახალხო დამცველისა, მესაკუთრეებმა ანალგოიური პრობლემით რამდენჯერმე მიმართეს კახა კუკავასაც, ოპოზიციონერ დეპუტატს. ორივე რესპონდენტი ფიქრობს, რომ მსგავსი შემთხვევების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე მათთვის გახდა ცნობილი, რადგან ბევრი მესაკუთრე ერიდება მათზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ ინფორმაციის გახმაურებას.

დღემდე ხელისუფლებას არ დაუყენებია არცერთი იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან მონაწილეობდნენ უკანონო გარიგებებში, რაშიც კერძო საკუთრების მფლობელებს სდებენ ბრალს და რა მიზეზითაც ართმევენ ან უნგრევენ მათ სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობებს. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ მედიისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და ხელისუფლებას სთხოვენ, რომ კანონი მის ყველა დამრღვევს ერთნაირი სიმკაცრით მიუდგეს. საპარლამენტო ოპოზიციამ საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივაც დააყენა, მაგრამ მმართველი პარტიისგან უარი მიიღო. კომისიის მაგივრად მას ინტერფრაქციულ ჯგუფში მონაწილეობა შესთავაზეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ჯგუფი დახურულ კარს მიღმა იმუშავებდა და გამოძიების ჩატარების უფლებით არ იქნებოდა აღჭურვილი. მას უნდა ეთანამშრომლა მთავრობასთან და შეემუშავებინა საკანონმდებლო ცვლილებები, რითაც უზრუნველყოფდა საკუთრების უფლებების უკეთ დაცვას.

მმართველი პარტიის წარმომადგენლების აზრით, თბილისის მერიამ შენობა-ნაგებობები კანონის დაცვით დაანგრია და ამ საკითხზე გამოძიების ჩატარების საჭიროება არ იყო. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა და მედია საშუალებებმა დიდ პრობლემად აქციეს ერთი ჩვეულებრივი და მარტივი რამ – ხელისუფლება არ აპირებდა უკანონობასთან შეგუებას. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი იყო პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც მან 12 თებერვალს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარემ წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ დანგრეულ შენობა-ნაგებობათა ნაწილი კანონის სრული დაცვით იყო აშენებული და აღნიშნა, რომ მომავალში უკანონოდ მიჩნეული ნაგებობების დანგრევა მკაცრი მონიტორინგის ქვეშ უნდა განხორციელებულიყო.

დანგრევების შესახებ საჯარო განცხადება არ გაუკეთებია პრეზიდენტს, თუმცა, როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ამბობენ, ის ამ საკითხს შეეხო 6 თებერვალს საპარლამენტო ოპოზიციური ფრაქციების ლიდერებთან გამართულ დახურულ შეხვედრაზე. ერთ-ერთი ოპოზიციური ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, პრეზიდენტი შეშფოთებული იყო ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო და გეგმავდა, რომ პრობლემა უმოკლეს ვადაში გადაეჭრა. ამის შემდეგ ოპოზიცია ელოდა, რომ პრეზიდენტი პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდოდა და ამ ინიციატივით ხელს შეუწყობდა კერძო საკუთრების უფლებების დაცვის უფრო მყარი გარანტიების შექმნას. 15 მარტს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე თავისი ყოველწლიური ანგარიშით წარსდგა, თუმცა შენობა-ნაგებობების დანგრევის თემაზე საერთოდ არაფერი უთქვამს.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმა უკვე პრეზიდენტის ყოველწლიურ ანგარიშამდე გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტის ინიციატივას არ დალოდებოდა და 14 თებერვალს გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებული ახალი კანონპროექტი წარმოადგინა. კანონპროექტი მხარს უჭერდა „სრულ ფინანსურ და ქონებრივ ამნისტიას“ და „კერძო არბიტრაჟის“ შემოღებას. ამ ინიციატივას საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. მის წინააღმდეგ გამოვიდა რამდენიმე ოპოზიციური ფრაქციაც. „ახალმა მემარჯვენეებმა“ მათი კოლეგების მიერ მომზადებული კანონპროექტის მხარდაჭერაზე უარი იმით ახსნეს, რომ ვინაიდან პრეზიდენტმა ოპოზიციასთან საუბარში თქვა, რომ ის საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებას და პარლამენტში წარდგენას ახლო მომავალში გეგმავდა, მისი დასწრება არათუ საჭირო არ იყო, შესაძლებელი იყო, რომ კონტრპროდუქტიულიც აღმოჩენილიყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად ოპოზიციის და საზოგადოების მოლოდინისა, კერძო საკუთრების საკითხზე პრეზიდენტს 15 მარტის საპარლამენტო გამოსვლაში, სადაც მან სხვა საკანონმდებლო ინიციატივებზე ისაუბრა, არაფერი უთქვამს. ეს საკითხი დღესაც ღიად რჩება – ჯერ ისევ არ არის ცნობილი, აპირებს თუ არა პრეზიდენტი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას და თუ აპირებს, რა პერიოდში.

სავარაუდოდ, პრეზიდეტის ინიციატივა და პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის შედეგები პასუხს გასცემს იმ კითხვებს, რომლებიც კერძო საკუთრების ხელყოფის შემთხვევების გარშემო გაჩნდა, კერძოდ: აღუდგენს თუ არა ხელისუფლება საკუთრების უფლებებს იმ ადამიანებს, ვისაც ეს უფლება ბოლო პერიოდში შეუზღუდეს; აუნაზღაურდებათ თუ არა მათ მიყენებული ზარალი; დადგება თუ არა უკანონო დანგრევების და კორუფციული გარიგებების უკან მდგომი საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხი და ა.შ. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი იურისტისა და ექსპერტის შეფასებით, დღესდღეობით კერძო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობა საკმაოდ გამართულია და ამ პრობლემის მოგვარებას ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე მეტად, უკვე არსებული კანონების დაცვა სჭირდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” ანგარიშის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ბატონ სოზარ სუბარს, საქართველოს ომბუცმენს და ბატონ კახა კუკავას, ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენელს. ანგარიშზე მუშაობის პროცესში შეხვედრების დანიშვნა ვცადეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და თბილისის მერიის წარმომადგენლებთან. სამწუხაროდ, შეხვედრების დანიშვნა ვერ მოხერხდა, რის შემდეგაც აღნიშნულ სტრუქტურებს წერილობით მივმართეთ და ამ ფორმით გამოვითხოვეთ ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარები ანგარიშში განხილულ საკითხებზე.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge